

სსიპ

სენაკის მუნიციპალიტეტი  
უშაფათის საჯარო სკოლა



LEPL

Municipality of Senaki  
public school of Ushapati

სენაკი, უშაფათი. Senaki, Ushapati. 4100

ushapatisskola@yahoo.com

Tel: ტელ: 595 00 19 34



MES 3 20 0001174517



09/12/2020

მაცნე

**სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის 2020 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის “ინფორმაციის თავისუფლების” თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2019 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული „ინფორმაციის თავისუფლების” თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის 2014 წლის 15 სექტემბერი №2-05 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი ირმა ქვარცხავა.

- ა) 2020 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 5 (ხუთი) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.
- ბ) დაკმაყოფილდა 5 (ხუთი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
- გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.
- დ) 2020 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.
- ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილ არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლის 2020 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

| ანგარიში  | რაოდენობა |
|---|-----------|
| მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე   | 5 (ხუთი)  |
| მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე   | 0 (ნული)  |
| მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული   | 5 (ხუთი)  |
| გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული   | 0 (ნული)  |
| მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე   | 0 (ნული)  |
| მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე   | 0 (ნული)  |
| მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე   | 0 (ნული)  |
| ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ  | 0 (ნული)  |
| ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ | 0 (ნული)  |

პატივისცემით,

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის  
სოფელ უშაფათის საჯარო

სკოლის დირექტორი

პაატა გაბელია

დირექტორი  
გაბელია პაატა

